

პროგრამისტი

„ალიანს ჯგუფი აი-თი“ (AGIT) – 2011 წელს დაარსებული, სწრაფად მზარდი IT კომპანიაა, რომელიც ადგილობრივ და საერთაშორისო მომხმარებლებს ბიზნეს საქმიანობაზე ორიენტირებულ პროგრამულ უზრუნველყოფას, ქსელის მართვას, ვებ გვერდების დიზაინსა და სხვადასხვა სახის აი-თი მომსახურებას სთავაზობს.

დაარსებიდან მოკლე დროში, კომპანიამ განახორციელა სამი მასშტაბური პროექტი: უნიკალური პროგრამა უძრავ-მომრავი ქონების შესაფასებლად, რომელსაც ბაზრის წამყვანი კომპანია იყენებს, ქონების მართვისა და შეფასების კუთხით; უნივერსალური მონაცემთა ბაზა - ბიზნეს ინფორმაციის კატალოგი და ინოვაციური პორტალი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერებისთვის საქართველოში.

ბოლო ორი წლის განმავლობაში, კომპანიამ შეასრულა 20-მდე ვებ-გვერდის დიზაინი, მათ შორის, მისი მშობელი კომპანიის, „ალიანს ჯგუფი ჰოლდინგისა“ და ჯგუფში შემავალი სხვა კომპანიების ვებ-გვერდები. „ალიანს ჯგუფი აი-თი“ საერთაშორისო პროექტებსაც ახორციელებს, კომპანიის მიერ დამზადებულია ლონდონში დაფუძნებული კერძო საინვესტიციო ფონდის, GML Capital LLP-ის ვებ-გვერდი.

შპს „ალიანს ჯგუფი აი-თი“ აცხადებს პროგრამისტის ვაკანსიას.

თანამდებობის დასახელება: პროგრამისტი

სამუშაო ადგილი: თბილისი, კოსტავას ქ. №47/57

ვაკანსიის რაოდენობა: ერთი

სამუშაო პირობები:

სრული სამუშაო განაკვეთი, ორშაბათიდან პრასკევის ჩათვლით.

დასაქმების თარიღი: აპრილი 2015 წელი

თანამდებობის ფუნქციები:

პროგრამისტი ასრულებს შემდეგ ფუნქცია-მოვალეობებს

- სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება
- არსებული პროგრამული უზრუნველყოფის გასწორება და მომსახურება
- შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისი დოკუმენტაციის შემუშავება

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

განათლება:

უმაღლესი განათლება კომპიუტერული მეცნიერების, ინფორმატიკის (კიბერნეტიკის) ან მათემატიკის განხრით

დამატებითი მოთხოვნები:

- აუცილებელია შემდეგი პროგრამული ენების (framework/library) ცოდნა: C# (ASP.NET, ASP.NET MVC, ADO.NET, ADO.NET Entity Framework), JavaScript (jQuery, Ajax), (დამატებით PHP, Java ჩაითვლება პლიუსად);
- Microsoft SQL Server მონაცემთა ბაზის კარგი ცოდნა და მუშაობის გამოცდილება (დამატებით MySQL ჩაითვლება პლიუსად);

- IIS ვებ სერვერთან მუშაობის გამოცდილება (დამატებით Apache, NGINX ჩაითვლება პლიუსად);
- HTML და CSS ვებ ტექნოლოგიების ცოდნა;
- ვერსიების კონტროლის სისტემასთან მუშაობის გამოცდილება: TFS, GIT;
- Windows Server-თან მუშაობის გამოცდილება

მუშაობის გამოცდილება:

ორწლიანი გამოცდილება შესაბამის სფეროში

უცხო ენების ცოდნა:

ინგლისური ენის კარგ სამუშაო დონეზე ფლობა

კომპიუტერის ცოდნა:

- ოპერაციული სისტემები: MS Windows (დამატებით GNU/Linux ჩაითვლება პლიუსად);
- IDE: Visual Studio;
- Version Control System: TFS, GIT.

პიროვნული თვისებები და საკმინი უნარები:

პასუხისმგებლობის გრძნობა, უნარების განვითარების და შემოქმედების სურვილი, გუნდურობა, ინიციატივა, შედეგზე ორიენტაცია, შეთანხმებული სამუშაო ვადების დაცვა.

აპლიკაციის გამოგზავნა

დაინტერესებულ კანდიდატებს შეუძლიათ გამოგზავნონ შევსებული სააპლიკაციო ფორმა ელ-მისამართზე: recruitment@agh.ge.

გთხოვთ, სათაურში მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება “Programmer”

განაცხადის მიღების ბოლო ვადაა: 03 აპრილი, 2015 წელი

კანდიდატები შეირჩევიან გასაუბრების საფუძველზე. გასაუბრებისთვის განიხილებიან მხოლოდ ის კანდიდატები, რომელთა რეზიუმე პასუხობს სავაკანსიო მოთხოვნებს.

გისურვებთ წარმატებას!